

პროფესიული უნარების ტესტი

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღიადაბოლოებიანი დავალებები (სულ 41 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34.1 35 36 37 38 39 39.0 39.1 39.2 39.3 40 41

დავალბა 1

მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა ჩართული დაკვირვება (დამკვირვებელი მოსწავლის როლში).

ჩართული დაკვირვების მეთოდის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია ყველაზე მართებული?

- ა) მოსწავლეთა ურთიერთსწავლების პროცესი უფრო ეფექტიანად წარმართება, როცა მასში დამსწრე კოლეგაც არის ჩართული.
- ბ) როცა დამსწრე მასწავლებელი მოსწავლის როლშია, გაკვეთილი უფრო სახალისოა და მოსწავლეთა ჩართულობა იზრდება.
- გ) დამსწრე აფასებს გაკვეთილს მოსწავლის და არა მასწავლებლის პერსპექტივიდან და აწვდის კოლეგას უკუკავშირს.
- დ) მასწავლებელს გაკვეთილის წარმართვა უადვილდება, როდესაც კოლეგა მოსწავლის როლშია და არა შემფასებლის.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 2

ბანდურას დასწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორიის მიხედვით, რომელი შეხედულება/შეხედულებებია მართებული?

- I. ადამიანი სწავლობს მხოლოდ გარემო ფაქტორების ზეგავლენით, საკუთარი გამოცდილებისა და ქცევის შედეგების საფუძველზე.
- II. ადამიანმა შეიძლება შეიძინოს გამოცდილება, დაისწავლოს ახალი ქცევა სხვა ადამიანებზე, ე.წ. მოდელებზე დაკვირვებით, მათი მიბაძვით.
- III. სოციალური დასწავლა მუდმივი პროცესია, რომლისთვისაც ქცევის შემდგომი განმტკიცება ან გარეგანი რეაგირება არ არის აუცილებელი.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და III
 - გ) მხოლოდ II
 - დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 3

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დავალება შეუწყობს ხელს კრეატიული აზროვნების განვითარებას?

- ა) მასწავლებელმა მოსწავლეთა ერთ ჯგუფს მისცა კითხვარი, აუხსნა, როგორ უნდა ჩაეტარებინათ გამოკითხვა და სთხოვა, რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია კლასისთვის გაეცნოთ.
- ბ) მასწავლებელმა მოსწავლეებს ფინალის გარეშე უჩვენა ფილმი პატარა გოგონას ცხოვრებაზე და სთხოვა მათ, რომ შემდეგი გაკვეთილისათვის მოეფიქრებინათ ფილმის დასასრული.
- გ) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, მოემიებინათ და გაეანალიზებინათ ინფორმაცია, რომელიც ეხება ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და მასთან დაკავშირებულ რისკებს.
- დ) მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა რამდენიმე ტექსტი და სთხოვა, მოკლედ ჩამოეყალიბებინათ, თუ რა ჰქონდათ საერთო მათ ერთმანეთთან.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	34.1	35	36	37	38	39	39.0	39.1	39.2	39.3	40	41	

დავალება 4

მოსწავლე მზად არ არის საკონტროლო წერისთვის. იგი ბოლო მერხზე ჯდება და გადაწერას აპირებს, რადგან იცის, რომ ცუდი ნიშნის მიღების შემთხვევაში მშობლები მეგობრის დაბადების დღეზე აღარ გაუშვებენ.

კოლბერგის თეორიის მიხედვით მორალური განვითარების რომელ სტადიაზეა მოსწავლე?

- ა) პრეკონვენციური დონე - ინსტრუმენტული ფარდობითობა.
- ბ) კონვენციური დონე - ინტერპერსონალური თანხმობა.
- გ) პრეკონვენციური დონე - მორჩილება და დასჯა.
- დ) კონვენციური დონე - კანონი და წესრიგი.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	34.1	35	36	37	38	39	39.0	39.1	39.2	39.3	40	41	

დავალება 5

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება/ქმედებები შეუწყობს ხელს მოსწავლეების შფოთვის შემცირებას და კლასში მშვიდი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას?

- I. დავალების მიცემის შესახებ მოსწავლეების ინფორმირება, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.
- II. მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეებთან რაციონალური საუბარი და ემოციების შეკავება.
- III. მოსწავლეებთან შეთანხმებით დასჯისა თუ წახალისების მექანიზმების შემუშავება.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და III
 - გ) მხოლოდ II
 - დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 6

მოსწავლე მასწავლებელს დახმარებისთვის მიმართავს, ის იწყებს მითითების მიცემას, მცირე დროის შემდეგ მოსწავლე ხვდება, რომ აღარ სჭირდება მასწავლებლის დახმარება და ამბობს: „უკვე მივხვდი, დანარჩენს თვითონ გავაკეთებ“.

რისი მაგალითია აღწერილი სიტუაცია?

- ა) სკაფოლდინგის
- ბ) სოკრატული სწავლების
- გ) პრემაკის პრინციპის
- დ) პანდორას კითხვების

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 7

ჩამოთვლილთაგან რომელია ვერბალური კომუნიკაციის ეფექტიანი გამოყენების მაგალითი?

- ა) მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოსწავლე არ უსმენს, მასწავლებელი იწყებს საუბარს და ცდილობს მათი ყურადღების მიპყრობას.
- ბ) მასწავლებელი შეკითხვის სირთულისა და მოსწავლის ინდივიდუალური ტემპის შესაბამისად ცვლის პაუზის ხანგრძლივობას.
- გ) მასწავლებელი მოსწავლესთან საუბრისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შინაარსს და არა გარეგნულ ეფექტებს – ჟესტებს, მანერებს.
- დ) მასწავლებელი ცდილობს, სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ისაუბროს, რათა მოსწავლეების ყურადღება შეინარჩუნოს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 8


ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს ყველაზე მეტად მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითარებას?

- ა) მასწავლებელმა კლასში ფილმის ჩვენება მოაწყო, მოსწავლეებთან ერთად გააანალიზა რეჟისორის ჩანაფიქრი და სთხოვა მათ, გაეხსენებინათ ანალოგიური თემატიკის ფილმები.
- ბ) მასწავლებელმა კლასში იმსჯელა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შესახებ და სთხოვა, გაეგოთ პარალელები საქართველოს ისტორიულ წარსულთან.
- გ) მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა გარკვეულ თემასთან დაკავშირებით ინტერნეტში მოიძიებული ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარება.
- დ) მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა ადამიანის ქცევაზე სტერეოტიპების გავლენის შესახებ მსჯელობა და შესაბამისი არგუმენტების ჩამოყალიბება.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 9

სურათზე მოცემულია ე. წ. ბლუმის გვირილა. ყვავილის თითოეულ ფურცელზე მითითებულია ტექსონომიის საფეხურები:



ჩამოთვლილთაგან რომელი კითხვა შეესაბამება გამოტოვებულ საფეხურს?

- ა) რა? სად?
- ბ) როგორ?
- გ) რა იქნებოდა, რომ?
- დ) სწორად თუ გავიგე?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34.1 35 36 37 38 39 39.0 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 10

ხშირად ხდება, რომ ნიჭიერ მოსწავლეებს სწავლაში დაბალი შედეგები აქვთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის მათი დაბალი მოტივაცია.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება/ქმედებები დაეხმარება მასწავლებელს ნიჭიერი მოსწავლის მოტივაციის ამაღლებაში?

- I. მოსწავლისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ინდივიდუალური დავალების შერჩევა.
- II. მოსწავლის ჩართვა თანამშრომლობით სწავლებაში და მისი როლის განსაზღვრა.
- III. მოსწავლის სუსტი მხარეების გამოკვეთა და მათზე ყურადღების გამახვილება.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და II
 - გ) მხოლოდ II და III
 - დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 11

მას შემდეგ, რაც მასწავლებელმა მოსწავლეებს პროცენტის გამოთვლა ასწავლა, დაავალა მათ, გამოეთვალათ, სასწავლო დროის რა პროცენტი დაეთმო კლასგარეშე მუშაობას მიმდინარე სემესტრში.

ჩამოთვლილთაგან მოსწავლის მიერ რომელი უნარის გამოყენებაა აუცილებელი ამ დავალების შესასრულებლად?

- ა) შემოქმედებითი აზროვნების უნარის
- ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარის
- გ) კრიტიკული აზროვნების უნარის
- დ) ცოდნის ტრანსფერის უნარის

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34.1 35 36 37 38 39 39.0 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 12

კვლევების საფუძველზე დასტურდება, რომ მოსწავლის აკადემიური წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა სკოლის ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართულობა და მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინება შეუწყობს ხელს მშობელთან მასწავლებლის ეფექტიან კომუნიკაციას?

- I. მუდმივად გქონდეთ ურთიერთობა მშობელთან – შესაძლოა, მან ისეთი რამ გითხრათ, რაც პრობლემის მოგვარებაში გამოგადგებათ ან ვითარების გაუარესებას აგაცილებთ.
- II. როდესაც მშობელს შვილზე ესაუბრებით, საუბარი ყოველთვის მოსწავლის თანდასწრებით წარმართეთ, რათა თქვენს ურთიერთობაში არ წარმოიშვას რაიმე გაუგებრობა.
- III. მშობელთან საუბრის დროს ეცადეთ, არ შეაფასოთ მოსწავლის ქცევა, მშობელს მიაწოდეთ მხოლოდ ინფორმაცია და დასკვნების გამოტანა მას მიანდეთ, ამგვარი ქმედება დაგეხმარებათ პასუხისმგებლობის გადანაწილებაში.

- ა) მხოლოდ I და II
- ბ) მხოლოდ I და III
- გ) მხოლოდ II
- დ) მხოლოდ III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34.1 35 36 37 38 39 39.0 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 13

თვითშეფასებისა და მოსწავლეთა შეფასებისათვის მასწავლებელს უნდა შეეძლოს შექმნას მარტივი, სწრაფად შესავსები ფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, უკეთ გააცნობიერონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები.

თვითშეფასების დროს რომელი ინდიკატორი ვერ დაეხმარება მოსწავლეს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გაცნობიერებაში?

- ა) ვცდილობ, არგუმენტირებულად ვისაუბრო
- ბ) ვითვალისწინებ განსხვავებულ აზრს
- გ) ვცდილობ, დავიცვა დროის ლიმიტი
- დ) ვცდილობ, ვუპასუხო სხვებზე უკეთ

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	34.1	35	36	37	38	39	39.0	39.1	39.2	39.3	40	41	

დავალება 14

ჩამოთვლილთაგან მოსწავლეთათვის ქცევის წესის განმარტების, არგუმენტირების მართებული ფორმა/ფორმებია:

- I. მასწავლებელი მოსწავლეებს პასუხის წამოძახებას უშლის და ეუბნება, რომ, ბავშვს, რომელიც პასუხს წამოიძახებს, დაბალი ნიშნით შეაფასებს.
- II. მასწავლებელი სიჩუმისკენ მოუწოდებს მოსწავლეებს მაშინ, როდესაც სხვა მოსწავლე პასუხობს და უხსნის მათ, რომ მოსმენით გამოიხატება მოსაუბრის მიმართ პატივისცემა.
- III. მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, დაიცვან ლაბორატორიული ხელსაწყოების გამოყენების წესები და განუმარტავს მათ, რომ ეს მნიშვნელოვანია მათი უსაფრთხოებისთვის.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 15

მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა დიალოგი.

ჩამოთვლილთაგან რომელია **ნაკლებად** მნიშვნელოვანი ფაქტორი დიალოგის ეფექტიანი წარმართვისათვის?

- ა) თემის მთავარი საკითხის შესახებ მოსაზრებათა გაზიარება.
- ბ) მოსაუბრეთა მხრიდან თავიანთი პოზიციების მყარად დაცვა.
- გ) თანამოსაუბრის მოსაზრების მიზეზისა და საფუძვლის გაგება.
- დ) თემასთან დაკავშირებული ფაქტების ერთობლივად გაანალიზება.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	34.1	35	36	37	38	39	39.0	39.1	39.2	39.3	40	41	

დავალება 16

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის მიმართ მასწავლებლის როგორი დამოკიდებულება შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს?

- ა) მასწავლებელი ცდილობს, რომ სსსმ მოსწავლე არ შეაწუხოს და ამიტომ ნაკლებად რთავს მას საგაკვეთილო პროცესში.
- ბ) მასწავლებელი თხოვნით ხშირად მიმართავს სპეციალურ პედაგოგს, რომ სსსმ მოსწავლე დასვენების მიზნით გაიყვანოს გაკვეთილიდან.
- გ) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს აძლევს სახალისო დავალებას, რათა დაკავებული იყოს და ხელი არ შეუშალოს სხვა მოსწავლეებს.
- დ) მასწავლებელი სსსმ მოსწავლეს აძლევს ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს, რათა მან შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალეზა 17

როჯერსის თანახმად, მე-კონცეფცია ადამიანის გრძნობებისა და შეხედულებების ერთობლიობაა საკუთარ თავზე, საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებსა და თვისებებზე, სხვა ადამიანებსა და მათ დამოკიდებულებებზე. მე-კონცეფციის ჩამოყალიბება ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

ჩამოთვლილთაგან რომელი მაგალითი მიუთითებს მოსწავლის დადებით „მე“- კონცეფციაზე?

- ა) მოსწავლეს მიაჩნია, რომ აქვს შესაძლებლობა, უფრო მეტ წარმატებას მიაღწიოს.
- ბ) მოსწავლე თანაკლასელის წარუმატებლობის მიზეზად მისსავე ნაკლს ასახელებს.
- გ) მოსწავლეს მიაჩნია, რომ თანაკლასელს გაუმართლა და წარმატებას ამიტომ მიაღწია.
- დ) მოსწავლე მიიჩნევს, რომ საკუთარი წარუმატებლობის მიზეზი სკოლა და მასწავლებელია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

<u>1</u>	<u>2</u>	<u>3</u>	<u>4</u>	<u>5</u>	<u>6</u>	<u>7</u>	<u>8</u>	<u>9</u>	<u>10</u>	<u>11</u>	<u>12</u>	<u>13</u>	<u>14</u>	<u>15</u>	<u>16</u>	<u>17</u>	<u>18</u>	<u>19</u>	<u>20</u>	<u>21</u>	<u>22</u>	<u>23</u>	<u>24</u>
	<u>25</u>	<u>26</u>	<u>27</u>	<u>28</u>	<u>29</u>	<u>30</u>	<u>31</u>	<u>32</u>	<u>33</u>	<u>34</u>	<u>34.1</u>	<u>35</u>	<u>36</u>	<u>37</u>	<u>38</u>	<u>39</u>	<u>39.0</u>	<u>39.1</u>	<u>39.2</u>	<u>39.3</u>	<u>40</u>	<u>41</u>	

დავალება 18

მასწავლებელს უნდა შეეძლოს სწავლების კონსტრუქტივისტული და ტრადიციული მეთოდების ერთმანეთთან შედარება, მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დანახვა.

ცხრილის A სვეტში აღწერილია აქტივობები, რომელსაც მასწავლებელი იყენებს სწავლების პროცესში. ხოლო B სვეტში მეთოდები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს:

აქტივობა (A)	მეთოდი (B)
I. მასწავლებელი მასალის განხილვას მისი ნაწილების მიმოხილვით იწყებს და შემდეგ აანალიზებს მას, როგორც ერთ მთლიანს.	ა) ტრადიციული ბ) კონსტრუქტივისტული
II. მასწავლებლის აქტივობები, როგორც წესი, ძირითადად სახელმძღვანელოებს ეყრდნობა.	
III. მასწავლებელი გაკვეთილს აგებს მოსწავლეების კითხვების საფუძველზე.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 19

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია სასწავლო სიტუაციები, B სვეტში - სწავლების მეთოდები, რომლებიც ამ სიტუაციებშია გამოყენებული. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

სასწავლო სიტუაცია (A)	სწავლების მეთოდი (B)
I. მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, რომ წარმართოს მოსწავლეთა აზროვნება საჭირო მიმართულებით, სთხოვს მათ, დააკავშირონ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცოდნა და სხვადასხვა ელემენტებისგან შექმნან ახალი სტრუქტურა.	ა) დიდაქტიკური ბ) სოკრატული
II. მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ზუსტ ინფორმაციას დავალების შესასრულებლად და წახალისებს, რომ მათ ამ პროცესში გამოიყენონ ახლად ახსნილი ცნებები.	გ) თანამშრომლობითი
III. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აწვდის ინფორმაციას, როდის ჩაითვლება მიზანი მიღწეულად.	დ) პრაქტიკული

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 20

გარდნერის თეორიის თანახმად, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინტელექტის ტიპების მიხედვით. სასურველია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს ინდივიდუალურად შეურჩიოს მათი ინტელექტის ტიპის შესაბამისი აქტივობა.

ცხრილის A სვეტში მოცემულია სასწავლო აქტივობა, ხოლო B სვეტში ინტელექტის ტიპი. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს:

სასწავლო აქტივობა(A)	ინტელექტის ტიპი (B)
I. საკვლევი თემის განსაზღვრა, პროექტის გეგმისა და სამუშაოს შესრულების გრაფიკის შედგენა.	ა) საბუნებისმეტყველო
II. ჩასატარებელი კვლევისათვის მასალის მოძიება და პროექტის დაწერა.	ბ) ვიზუალურ-სივრცითი
III. პროექტის გაფორმება დიაგრამებითა და ილუსტრაციებით.	გ) ინტერპერსონალური
IV. ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა და მათი მუშაობის კოორდინირება.	დ) ლოგიკურ-მათემატიკური
	ე) ლინგვისტური

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში.წერეთ გარკვევით.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

ინსტრუქცია

ღიადაბოლოებიანი დავალება თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

<u>1</u>	<u>2</u>	<u>3</u>	<u>4</u>	<u>5</u>	<u>6</u>	<u>7</u>	<u>8</u>	<u>9</u>	<u>10</u>	<u>11</u>	<u>12</u>	<u>13</u>	<u>14</u>	<u>15</u>	<u>16</u>	<u>17</u>	<u>18</u>	<u>19</u>	<u>20</u>	<u>21</u>	<u>22</u>	<u>23</u>	<u>24</u>
	<u>25</u>	<u>26</u>	<u>27</u>	<u>28</u>	<u>29</u>	<u>30</u>	<u>31</u>	<u>32</u>	<u>33</u>	<u>34</u>	<u>34.1</u>	<u>35</u>	<u>36</u>	<u>37</u>	<u>38</u>	<u>39</u>	<u>39.0</u>	<u>39.1</u>	<u>39.2</u>	<u>39.3</u>	<u>40</u>	<u>41</u>	

დავალება 21

მაქსიმალური ქულა - 4

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი გაკვეთილზე იყენებს მოდელებს, თავად აღწერს და შემდეგ მოსწავლეებს განასახიერებინებს დედამიწისა და სხვა პლანეტების მოძრაობას მზის სისტემაში; ეხმარება მოსწავლეებს მზისა და მთვარის დაბნელების მოდელების შექმნაში და შემდეგ მსჯელობს დაბნელების გამომწვევ მიზეზებზე.

- აღწერეთ ორი დადებითი შედეგი, რომელიც მოჰყვება მასწავლებლის მიერ გამოყენებულ სასწავლო აქტივობას.
- დაასაბუთეთ თითოეული მათგანი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

მასწავლებელმა მოსწავლეებს წაუკითხა ამონარიდი ინტერვიუდან პოეტ ბესიკ ხარანაულთან:

– „ბატონო ბესიკ, იმ ცხოვრების ფონზე, რაც თქვენ განვლიეთ, ადამიანები კიდევ გაოცდებიან? თუ ყველა „ქარაგმა“ უკვე ამოხსნილი გაქვთ?

– მე მგონია, რომ საკვირველი ადამიანებში ძალიან ცოტაა იმიტომ, რომ იმეორებენ იმას, რაც უკვე უკეთებიათ, განსაკუთრებით, ჩვენში. ასე კი ვფიქრობ, მაგრამ მკვიდრად ჩამოყალიბებული რომ მქონდეს რომელიმე აზრი, სრულებითაც არ მჭირდება. რაში მჭირდება ტოტი, რომელზეც ვერ ვიქანავებ?!“

და გააფრთხილა, რომ შემდეგ გაკვეთილზე გამართავდა დისკუსიას პოეტის შეხედულებებთან დაკავშირებით.

- დაასახელეთ ორი უნარი, რომელთა განვითარებასაც შეუწყობს ხელს მასწავლებლის მიერ გამოყენებული სასწავლო აქტივობა.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი – ახსენით, როგორ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ დასახელებული უნარების განვითარებას მოცემული სასწავლო აქტივობა.


***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.**

<u>1</u>	<u>2</u>	<u>3</u>	<u>4</u>	<u>5</u>	<u>6</u>	<u>7</u>	<u>8</u>	<u>9</u>	<u>10</u>	<u>11</u>	<u>12</u>	<u>13</u>	<u>14</u>	<u>15</u>	<u>16</u>	<u>17</u>	<u>18</u>	<u>19</u>	<u>20</u>	<u>21</u>	<u>22</u>	<u>23</u>	<u>24</u>
	<u>25</u>	<u>26</u>	<u>27</u>	<u>28</u>	<u>29</u>	<u>30</u>	<u>31</u>	<u>32</u>	<u>33</u>	<u>34</u>	<u>34.1</u>	<u>35</u>	<u>36</u>	<u>37</u>	<u>38</u>	<u>39</u>	<u>39.0</u>	<u>39.1</u>	<u>39.2</u>	<u>39.3</u>	<u>40</u>	<u>41</u>	

დაწყებითი კლასის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა ნახატზე წარმოდგენილი არსებების კლასიფიცირება. ერთ-ერთმა მოსწავლემ პეპლები, ნემსიყლაპიები და ფრინველები ერთ ჯგუფში გააერთიანა და დააწერა – „ჩიტები“.

მასწავლებლის შეკითხვაზე, რატომ არიან ერთად მწერები და ფრინველები, მოსწავლემ უპასუხა:

„პეპელაც დაფრინავს, ნემსიყლაპიაც და ჩიტიც, ე.ი. პეპელაც და ნემსიყლაპიაც ჩიტები არიან“.



- პიაჟეს თეორიის მიხედვით, კოგნიტური განვითარების რომელი სტადიისათვის არის დამახასიათებელი ბავშვის ასეთი ლოგიკა?
- ახსენით ბავშვის კოგნიტური განვითარების ის თავისებურება, რომელიც განაპირობებს ამგვარ შეცდომებს. *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

<u>1</u>	<u>2</u>	<u>3</u>	<u>4</u>	<u>5</u>	<u>6</u>	<u>7</u>	<u>8</u>	<u>9</u>	<u>10</u>	<u>11</u>	<u>12</u>	<u>13</u>	<u>14</u>	<u>15</u>	<u>16</u>	<u>17</u>	<u>18</u>	<u>19</u>	<u>20</u>	<u>21</u>	<u>22</u>	<u>23</u>	<u>24</u>
	<u>25</u>	<u>26</u>	<u>27</u>	<u>28</u>	<u>29</u>	<u>30</u>	<u>31</u>	<u>32</u>	<u>33</u>	<u>34</u>	<u>34.1</u>	<u>35</u>	<u>36</u>	<u>37</u>	<u>38</u>	<u>39</u>	<u>39.0</u>	<u>39.1</u>	<u>39.2</u>	<u>39.3</u>	<u>40</u>	<u>41</u>	

დავალებები 24-28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

ინტერნეტსივრცეში ერთ-ერთი სოციალური ქსელის მომხმარებელმა პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად შექმნეს ღია ჯგუფი. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, დასვას კითხვები.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ თითოეულ წერილში აღწერილი პრობლემის არსი.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს დავალებაში წარმოდგენილ პრობლემის არსს.

თითოეული დავალება (24-28) შეასრულეთ იმ კითხვის/მითითების მიხედვით, რომელიც დავალებას თან ახლავს და პასუხი დაასაბუთეთ.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

ყურადღების კონცენტრაცია



ირაკლი გუდიაშვილი

სკოლაში მუშაობა ახალი დაწყებული მაქვს. იმისათვის, რომ შევძლო შესასწავლ საკითხზე მოსწავლეების ყურადღების კონცენტრირება, ძალიან დიდი ძალისხმევა მჭირდება. საინტერესო და დამაინტრიგებელი თემით გაკვეთილის დაწყების მიუხედავად, ამას ხშირად მაინც ვერ ვახერხებ.

შეგიძლიათ მითხრათ, კიდევ რომელი სტრატეგია გამოიყენება საკითხზე მოსწავლეების ყურადღების კონცენტრირებისათვის?

👍 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუშინ, 17:28-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#)
- [2](#)
- [3](#)
- [4](#)
- [5](#)
- [6](#)
- [7](#)
- [8](#)
- [9](#)
- [10](#)
- [11](#)
- [12](#)
- [13](#)
- [14](#)
- [15](#)
- [16](#)
- [17](#)
- [18](#)
- [19](#)
- [20](#)
- [21](#)
- [22](#)
- [23](#)
- [24](#)
- [25](#)
- [26](#)
- [27](#)
- [28](#)
- [29](#)
- [30](#)
- [31](#)
- [32](#)
- [33](#)
- [34](#)
- [34.1](#)
- [35](#)
- [36](#)
- [37](#)
- [38](#)
- [39](#)
- [39.0](#)
- [39.1](#)
- [39.2](#)
- [39.3](#)
- [40](#)
- [41](#)

საკუთარი შესაძლებლობების რწმენა

დოდო როგავა



ამ ბოლო დროს ერთი მოსწავლე სკოლას ხშირად აცდენს. ვფიქრობ, ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ სწავლის მოტივაცია არ აქვს, უბრალოდ, სხვა თანაკლასელებივით მაღალ ქულებს ვერ იღებს. ვღელავ, არ მინდა, რომ საკუთარი თავის რწმენა დაკარგოს.

ხშირმა შექებამ შედეგი არ გამოიღო, სხვა რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ მოსწავლე უფრო თავდაჯერებული გახდეს?

👤 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • გუშინ, 11:26-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-------------|-------------|-------------|-------------|-----------|-----------|-----------|
| <u>1</u> | <u>2</u> | <u>3</u> | <u>4</u> | <u>5</u> | <u>6</u> | <u>7</u> | <u>8</u> | <u>9</u> | <u>10</u> | <u>11</u> | <u>12</u> | <u>13</u> | <u>14</u> | <u>15</u> | <u>16</u> | <u>17</u> | <u>18</u> | <u>19</u> | <u>20</u> | <u>21</u> | <u>22</u> | <u>23</u> | <u>24</u> |
| | <u>25</u> | <u>26</u> | <u>27</u> | <u>28</u> | <u>29</u> | <u>30</u> | <u>31</u> | <u>32</u> | <u>33</u> | <u>34</u> | <u>34.1</u> | <u>35</u> | <u>36</u> | <u>37</u> | <u>38</u> | <u>39</u> | <u>39.0</u> | <u>39.1</u> | <u>39.2</u> | <u>39.3</u> | <u>40</u> | <u>41</u> | |

გაკვეთილის შეჯამება



ნიკა ზოგჯერ მასწავლებელი გვავალებს თემის ან გაკვეთილის შეჯამებას, მე კი არ ვიცი, ეს როგორ უნდა გავაკეთო.



სალომე მოკლედ თქვი ის, რაზეც მასწავლებელი მთელი გაკვეთილი ლაპარაკობდა.



ნიკა ეგ არის შეჯამება?



სალომე მე მეტი არ ვიცი, მასწავლებელს ჰკითხე და ის გასწავლის როგორ უნდა შეაჯამო 😊

👍 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 12:20-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
- [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

მოსწავლის ქცევის იგნორირება

ცისანა გობეჯიშვილი



ერთ-ერთი მოსწავლე ძალიან მიშლის ხელს უადგილო ხუმრობებით, რეპლიკებით. რაც უფრო ხშირად ვაძლევ შენიშვნას, მით უარესად იქცევა. გადავწყვიტე, მოსწავლის ქცევას ყურადღება აღარ მივაქციო, მაგრამ არ ვიცი, არის თუ არა ეფექტიანი იგნორირების სტრატეგია და რა გავითვალისწინო მისი გამოყენების დროს.

გთხოვთ, მიპასუხოთ, რა შემთხვევაში იძლევა შედეგს იგნორირების სტრატეგიის გამოყენება და რატომ?

👍 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 16:26-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- 1
- 2
- 3
- 4
- 5
- 6
- 7
- 8
- 9
- 10
- 11
- 12
- 13
- 14
- 15
- 16
- 17
- 18
- 19
- 20
- 21
- 22
- 23
- 24
- 25
- 26
- 27
- 28
- 29
- 30
- 31
- 32
- 33
- 34
- 34.1
- 35
- 36
- 37
- 38
- 39
- 39.0
- 39.1
- 39.2
- 39.3
- 40
- 41

მასწავლებელთა თანამშრომლობა



ლამარა შალამბერიძე

გეოგრაფიას ორ პარალელურ კლასში ვასწავლი. ერთხელ ავადმყოფობის გამო გაკვეთილები მიცდებოდა და კოლეგას ვთხოვე, ჩემს კლასებში ახალი მასალა აეხსნა და განვლილი გამოეკითხა. კოლეგამ გაკვეთილები ჩაატარა, მაგრამ შენიშვნა მომცა: - „ძალიან ყოჩაღი ბავშვები არიან, თუმცა განვლილი მასალიდან ბევრ კითხვას ვერ გასცეს პასუხი. იქნებ ხშირად გაამეორებინო ხოლმე.“ მეწყინა, რადგან ვფიქრობ, რომ შენიშვნა არ უნდა მოეცა. შეიძლება ვცდები კიდევ.

ამიხსენით, რას გულისხმობს მასწავლებლებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა?

👍 მომწონს • კომენტარი • გამოწერის გაუქმება • დღეს, 14:42-ზე

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

- [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
- [25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 29

უზნადის თეორიის მიხედვით, თამაშის შესახებ გამოთქმული რომელი დებულება/დებულებებია მართებული?

- I. თამაში ქცევის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც არ საჭიროებს ბავშვის სპეციალურ მზაობას, მის მთლიანპიროვნულ განწყობას.
- II. თამაშის ძირითადი მოტივი არის თავად ქმედებისაგან სიამოვნების მიღება, რაც ააქტიურებს ბავშვის შესაძლებლობებს.
- III. თამაში არის ქცევა, რომელიც ბავშვის შინაგანი იმპულსიდან მომდინარეობს და თავისუფალია გარე იძულებისაგან.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 30

მოსწავლეთა შეფასების ერთ-ერთი ფორმაა განმავითარებელი შეფასება.

მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი ქმედება/ქმედებები შეესაბამება განმავითარებელ შეფასებას?

- I. მასწავლებელი ხშირად აძლევს მოსწავლეებს ზეპირ თუ წერილობით უკუკავშირს.
- II. მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეს ნაშრომის ძლიერ და სუსტ მხარეებზე.
- III. მასწავლებელი ზუსტად აფასებს და ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	34.1	35	36	37	38	39	39.0	39.1	39.2	39.3	40	41	

დავალება 31

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიები დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლისათვის შინაგანი მოტივაციის გაღვივებაში?

- I. მასწავლებელმა საგნის მასალა დაუკავშიროს ყოველდღიურ ცხოვრებას და მოსწავლეს ექსპერიმენტის ჩატარება დაავალოს.
- II. მასწავლებელმა წარმატებული მოსწავლეების ნაშრომები განიხილოს და მოსწავლეს სთხოვოს მათი შეფასება.
- III. მასწავლებელმა მოსწავლეს მისთვის აქტუალურ საკითხზე პოპულარული ენით დაწერილი სტატია წააკითხოს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 32

მასწავლებელი ასწავლის ახალ კლასს და ჯერ კიდევ არ იცის მოსწავლეთა სახელები.

ჩამოთვლილთაგან რომელი ხერხი დაეხმარება მასწავლებელს ყველაზე მეტად ასეთ ვითარებაში?

- ა) სთხოვოს მოსწავლეებს, დაწერონ და მერხებზე თვალსაჩინო ადგილზე განათავსონ თავიანთი სახელები.
- ბ) ამოიკითხოს სია ყოველი გაკვეთილის დასაწყისში და ეცადოს, დაიმახსოვროს ყველა მოსწავლის სახელი.
- გ) ახლოს მჯდომ მოსწავლეს ჰკითხოს იმ თანაკლასელის სახელი, რომელსაც სურს, რომ მიმართოს.
- დ) მიმართოს კლასს და არა ცალკეულ მოსწავლეს, ვიდრე სახელებს კარგად არ დაიმახსოვრებს.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 33

დიუის პროგრესული განათლების თეორიის თანხმად, რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

- I. არსებითია მოსწავლის მიერ ცოდნის დაგროვება.
- II. გამოცდილება განაპირობებს მოსწავლის შემდგომ განვითარებას.
- III. საგანმანათლებლო პროცესის საფუძველი უნდა იყოს მოსწავლის ინტერესი.
 - ა) მხოლოდ I
 - ბ) მხოლოდ I და II
 - გ) მხოლოდ II და III
 - დ) მხოლოდ III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალეზა 34

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: ახალი ტერმინის მნიშვნელობის გააზრება და დასწავლა.

აქტივობა: მასწავლებელმა მე-6 კლასის მოსწავლეებს ახალი ტერმინის – „მიგრაციის“ მნიშვნელობა აუხსნა და სთხოვა ეს ტერმინი საკუთარი სიტყვებით აეხსნათ ან ნახატით წარმოედგინათ.

**დავალეზის გაგრძელება – სავარაუდო პასუხები მოცემულია მომდევნო გვერდზე. ლინკი -34.1*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობა დასახული მიზნის:

- ა) ადეკვატურია, რადგან თვალსაჩინო ხატოვანი წარმოდგენების შექმნის გარეშე შეუძლებელია ახალი ტერმინის მნიშვნელობის გააზრება.
- ბ) არ არის ადეკვატური, რადგან არსებობს ტერმინები, რომელთა საკუთარი სიტყვებით ახსნას ან დახატვას მოსწავლეები ვერ შეძლებენ.
- გ) ადეკვატურია, რადგან, საკუთარი სიტყვებით ასახსნელად ან დასახატად მოსწავლე აუცილებლად უნდა ჩაწვდეს სიტყვის არსს, რაც ხელს უწყობს, აგრეთვე, მის ხანგრძლივად დამახსოვრებას.
- დ) არ არის ადეკვატური, რადგან არსებობს საშიშროება, რომ მოსწავლეები არასწორ ინტერპრეტაციას გაუკეთებენ ტერმინს და, შესაბამისად, არასწორი მნიშვნელობით დაიმახსოვრებენ.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 35

ჩამოთვლილთაგან რომელი შედეგი/შედეგები მოჰყვება მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის წაყენებულ მიუღწევად მოთხოვნებს?

I. მოსწავლე უფრო მეტ ძალისხმევას გამოიჩენს შედეგის მისაღწევად.

II. დაიძაბება მოსწავლის ურთიერთობა მასწავლებელთან.

III. მოსწავლეს დაუქვეითდება თვითშეფასება.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 36

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი კომენტარი მიანიშნებს იმაზე, რომ ის მოსწავლესთან ურთიერთობაში სწორად იყენებს ე.წ. „აქტიური მოსმენის“ ტექნიკას?

- ა) „სხვა დროს უფრო ყურადღებით მომისმინე, რომ ასეთი შეცდომა აღარ დაუშვა“.
- ბ) „მაინტერესებს, რამდენად სწორად გავიგე შენი ნათქვამის არსი?!“
- გ) „ვიცი, რომ პასუხი იცი, სჯობს, ამ კითხვაზე სხვამ მიპასუხოს“.
- დ) „შენი პასუხი არასწორია, ახლა სხვებს ხომ არ მოვუსმინოთ?!“

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 37

საშინაო დავალების შესრულების შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობა/მსჯელობებია მართებული?

- I. რაც უფრო დიდი დრო სჭირდება დავალების შესრულებას, მით უფრო ეფექტანია ის.
- II. დავალების შესრულება ხელს უწყობს ინფორმაციის გადამუშავების უნარის განვითარებას.
- III. დავალების შესრულება მოსწავლეს ასწავლის საკუთარი თავის მართვას, უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ II და III

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34.1 35 36 37 38 39 39.0 39.1 39.2 39.3 40 41

დავალება 38

მედიატორის მიერ რომელი პოზიციის დაფიქსირება არ არის მიზანშეწონილი კონფლიქტის მოგვარების დროს?

- ა) „ჩემი მიზანია, დაგეხმაროთ ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილების გამოტანაში“.
- ბ) „მე შევეცდები, თქვენი დახმარებით გავარკვიო, ვინ არის ამ სიტუაციაში მართალი და ვინ - მტყუანი“.
- გ) „მე არ ვარ დაინტერესებული მხარე და არ ვაპირებ არც ერთი თქვენგანის მხარეზე დგომას“.
- დ) „თითოეულ თქვენგანს მივცემ შესაძლებლობას, გამოხატოს თავისი შეხედულება მომხდართან დაკავშირებით“.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	34.1	35	36	37	38	39	39.0	39.1	39.2	39.3	40	41	

ინსტრუქცია

დავალებებს 39.1, 39.2 და 39.3 უპასუხეთ მოცემული ტექსტის მიხედვით:

39.1 - დავალება არჩევითპასუხიანია და 1 ქულით ფასდება.

39.2 და 39.3 - დავალებები ღიადაბოლოებია. ყურადღებით წაკითხეთ დავალების პირობა (ტექსტი) და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა - 3.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალეზა 39

სახელმწიფო შეფასების ფარგლებში სასკოლო კლიმატის კვლევამ მოსწავლის მიღწევებს, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობასა და ბულინგის დონეს შორის უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლაში ბულინგი ამცირებს მოსწავლის სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად მოქმედებს მის აკადემიურ მიღწევებზე. კვლევების მიხედვით, სასკოლო ბულინგი მიღწევის დონის გაუმჯობესების, პროსოციალური უნარების განვითარებისა და ზოგადი კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი ბარიერია როგორც მსხვერპლის, ასევე მჩაგვრელის შემთხვევაში.

ბულინგი მნიშვნელოვანი პრობლემაა სკოლებში. ის გავლენას ახდენს როგორც მოსწავლეთა მიღწევებზე, ისე მათ ფსიქოლოგიურ განვითარებასა და მომავალ წარმატებაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, დგება ისეთი აქტივობების განხორციელების აუცილებლობა, რომლებიც შეამცირებს ბულინგის შემთხვევებს და ხელს შეუწყობს პოზიტიური სასკოლო კლიმატის ფორმირებას. ბულინგის აღმოფხვრისაკენ მიმართულმა პროგრამებმა და შემდგომში მათი ეფექტიანობის კვლევებმა დაადასტურა, რომ კლასიკური მიდგომა, რაც ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას გულისხმობს, არ აღმოჩნდა შედეგიანი. ამასვე მოწმობს ამ პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად ამერიკაში ჩატარებული კვლევებიც, რომელთა თანახმად:

➤ შემცირდა აკადემიური მიღწევების დონე და გაიზარდა დაბალი მიღწევების რისკი (Skiba & Rausch, 2006; Sundius & Farneth, 2008),

ასევე გაიზარდა სკოლის გაცდენის მაჩვენებელი (Sundius & Farneth, 2008); **ტექსტი გრძელდება მომდევნო გვერდზე. ლინკი-39.0*

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	34.1	35	36	37	38	39	39.0	39.1	39.2	39.3	40	41	

- გაიზარდა მოსწავლეების გარიცხვისა და სტატუსის შეჩერების რიცხვი (Southern Poverty Law Center, 2009);
- მოსწავლის გარიცხვის ან სტატუსის შეჩერების ფაქტი ზრდის ალბათობას, რომ გაიზრდება მოსწავლის არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის რისკი (Hietzeg და სხვ., 2009; Sundius & Farneth, 2008);

ნათელია, რომ დგას ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ალტერნატიული მიდგომის საჭიროება, რაც სკოლის კლიმატის გაუმჯობესების კვალდაკვალ გაზრდის სკოლის უსაფრთხოებას, თუმცა, ეს არ მოხდება სხვა მნიშვნელოვანი შედეგების ხარჯზე. ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის საზოგადოებრივი ინტერესების აღმასრულებელი დირექტორი სტატიაში – „გავაუმჯობესოთ სასკოლო კლიმატი იმისათვის, რომ შევამციროთ ის რისკები, რომელთა წინაშეც მოსწავლეების ჯანმრთელობა დგას“ – ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: ბულინგისა და აგრესიის პრევენცია, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობისა და მოსწავლეების შეკავშირებულობის გაუმჯობესება.

დასჯის პრაქტიკის შეცვლითა და მოსწავლეებს შორის სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებით მნიშვნელოვან ნაბიჯს ვდგამთ დასახული მიზნის მისაღწევად (Gregory და სხვ., 2010).

(„სახელმწიფო შეფასება, საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მე-9 კლასი“, ანგარიში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2016)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	34.1	35	36	37	38	39	39.0	39.1	39.2	39.3	40	41	

დავალება 39.1

ტექსტში აღწერილი კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- ა) ბულინგის აღმოფხვრისაკენ მიმართული კლასიკური მიდგომა აძლიერებს მოსწავლის სკოლისადმი მიკუთვნებულობას.
- ბ) გაუმართლებელია ბულინგის წინააღმდეგ საბრძოლველად დასჯის გამოყენება, უმჯობესია ალტერნატიული მეთოდების ძიება.
- გ) ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ამცირებს ბულინგის ფაქტებს და, შესაბამისად, ზრდის მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს.
- დ) სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ნებისმიერი ხერხით სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 39.2

მაქსიმალური ქულა - 3

- სკინერის ბიჰევიორისტულ თეორიაზე დაყრდნობით ახსენით მოცემულ ტექსტში განხილული კვლევების შედეგები - რატომ არ შემცირდა ბულინგის შემთხვევები სკოლაში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24
25 26 27 28 29 30 31 32 33 34 34.1 35 36 37 38 39 39.0 39.1 39.2 39.3 40 41

დავალეზა 39.3

მაქსიმალური ქულა - 3

- დაასახელეთ და აღწერეთ ინტელექტუალური უსაფრთხოების ხელშემწყობი ერთი სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ კლასის კლიმატის გაუმჯობესებაში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 40

მაქსიმალური ქულა - 3

პერკინსის ეფექტიანი სწავლების მოდელში აღწერილია შვიდი პრინციპი, რომლებიც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის დროს. მათგან ერთ-ერთი პრინციპია მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის „საბოლოო პროდუქტის“ გაცნობა.

- რას გულისხმობს მოცემული პრინციპი?
- პერკინსის თეორიის მიხედვით დაასაბუთეთ მოცემული პრინციპის მნიშვნელობა ეფექტიანი სწავლებისათვის.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)

დავალება 41

მაქსიმალური ქულა - 4

ჯგუფური მუშაობის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია რამდენიმე აუცილებელი პირობის გათვალისწინება, რომელთა გარეშე საკლასო ორგანიზაციის ამ ფორმის გამოყენება ბევრ სირთულეს ქმნის.

- რა ასპექტები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა კლასის ჯგუფებად დაყოფის დროს და რატომ? *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*
- რა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მასწავლებელმა მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე და რატომ? *დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#)
[25](#) [26](#) [27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [34.1](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [39.0](#) [39.1](#) [39.2](#) [39.3](#) [40](#) [41](#)